სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 24 დეკემბერს, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის N1833/ს ბრძანების შესაბამისად, შპს „ეტალონზე“, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. განძანის მიმდებარე ტერიტორიაზე, „ავჭალის“ ტორფის მოპოვების მიზნით, გაცემული იქნა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია N10002591. ლიცენზიით გათვალისწინებული მიწისა და სამთო მინაკუთვნის ფართობია 2 126 930 მ^2.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ პირველი დანართის 27-ე პუნქტისა და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, 150 ჰექტარზე მეტ ტერიტორიაზე ტორფის მოპოვება ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურას და ზემოაღნიშნული კანონის მე-8 მუხლის გათვალისწინებით, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სკოპინგის განცხადებას, სკოპინგის ანგარიშთან ერთად, ასევე, ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტს.

რაც შეეხება, რეკულტივაციის პროექტს, გაცნობებთ, რომ წიაღით სარგებლობის ობიექტი, არ საჭიროებს რეკულტივაციას (იხ. სამინისტროს წერილი N497/01; 20.01.2022)

დანართი:

1. „ავჭალის“ ტორფის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზ. ნაბეჭდი ვერსია;
1. წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტი-1 ეგზ. ნაბეჭდი ვერსია;
2. სამინისტროს წერილი N497/01; 20.01.2022;
3. 1-2 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების ელ ვერსია და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS კოორდინატები shp-ფაილთან ერთად - 1 CD

პატივისცემით,

ვაჟა მარგალიტაძე

შპს „ეტალონის“ დირექტორი

8.08.2022 წ.